

დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
ბრძანება N04-13 (15.02.2019) დანართი N3
ცვლილება: N04-16 (21.02.2019) დანართი N3
N04-25 (11.03.2019) დანართი N3
N04-28 (13.03.2019) დანართი N1
N04-34 (27.03.2019) დანართი N3



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ხის მხატვრული დამუშავება

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

საკონტაქტო ინფორმაცია: 577215090; www.tmk.edu.ge

communitycollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი გიგაური

მცხეთა

2019

1. **პროგრამის სახელწოდება:** ხის მხატვრული დამუშავება/ wood artistic processing

2. **სარეგისტრაციო ნომერი:** 02123-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში - Basic vocational qualification in wood artistic processing

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით, **ხის მხატვრულ დამუშავება** განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, სწავლების სფერო - ხის მხატვრული დამუშავება.

4. **პროგრამის მიზანი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამა მოამზადებს ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** საბაზო განათლება

6. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ხის მხატვრული დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523.

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 14 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 62 კრედიტის ოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 78 კრედიტი.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
5	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
6	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	საბაზო განათლება	4
სულ			16
პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები		4
2	ხაზვა ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის		3
3	ძერწვის საწყისები		3
4	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა Photoshop CS	საბაზო განათლება	3
5	გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება		3
6	მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიები	-	8
7	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	-	6
8	ხეზე მხატვრული კვეთა	-	6
9	მოზაიკური ტექნოლოგიით ნიმუშის დამზადება	-	4
10	ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით	-	5

11	ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება	მოდული: კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	6
12	ხის წნული ნაკეთობების დამზადება		3
13	ხის ნაკეთობათა შეკეთება	-	3
14	პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში	პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
სულ			62

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი;
- დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა;
- ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები;
- განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში;
- განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება;
- დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით;
- შექმნას ხის წნული ნაკეთობები;
- განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

12. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

ა. შპს „გორა“ - თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა N5

ბ. შპს „ელია“ - მცხეთა, ზაჰესი, პლატინის ქ N1/3

გ. შპს „ხმელი წიფელი“ - მცხეთა, სოფ. მისაქციელი

13. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

14. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- ჩარჩო დოკუმენტი - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება

15. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითდი სასწავლო კორპუსი, ოთახი: N109 (პრაქტიკა), N 311(თოერია)

16. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 78 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 93 კრედიტი

17. პროგრამის ხანგძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 52 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 62 სასწავლო კვირა

პროგრამის დანართები:

დანართი 1 -სასწავლო გეგმა

დანართი 2- პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 3 - ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 5 - მეწარმეობა 1

დანართი 6 - რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 7 - სამოქალაქო განათლება

დანართი 8 - უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 9 - აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები

დანართი 10 – ხაზვა ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის

დანართი 11- ძერწვის საწყისები

დანართი 12-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა Photoshop CS

დანართი13 - გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება

დანართი 14- მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიები

დანართი 15- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის

დანართი 16 - ხეზე მხატვრული კვეთა

დანართი17 - მოზაიკური ტექნოლოგიით ნიმუშის დამზადება

დანართი 18 - ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით

დანართი 19 - ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება

დანართი 20 - ხის წნული ნაკეთობების დამზადება

დანართი 21 - ხის ნაკეთობათა შეკეთება

დანართი 22 - პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში

დანართი 23 - ქართული ენა A2